

ბიორები ბურჟიევი

დანახული რეალური სამყაროდან

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი – 2021

გიორგი ივანეს ძე გურჯიევი – თეოსოფი, აღმოსავლური ოკულტიზმის მიმდევარი, ქრისტიანული მისტიკურ-ანთროპოლოგისტური მოძღვრების ავტორი.

აღსანიშნავია რომ ავტორის ეს წიგნის მის სიცოცხლეში გამოიცა, წიგნისთვის არჩეული სახელიც ავტორს ეკუთვნის.

კავკასიელი მისტიკოსის ეს ადრეული ნაშრომი წარმოადგენს მის მოწაფეთა ჩანაწერებს, რომლებიც უშუალოდ გურჯიევის გამონათქვამებსა და ლექციებზეა დაფუძნებული, და რომლებიც ცხოვრების მრავალ მნიშვნელოვან მხარეს ეხება: თვითდაკვირვება, ყურადღება, სატანჯველის აზრი, ჩვეულების მსხვერვა, როგორ გავახანგრძლივოთ სიცოცხლე?, არსი და პიროვნება, მტკიცება და უარყოფა, გულგრილობა, სამყაროს მატერიალურობა, ვის გააჩნია თავისუფალი ნება?, გავლენა ადამიანზე და ა.შ.

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2021 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© IBOOKS

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-2060-1

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა5

დანახული რეალური სამყაროდან

თვითდაკვირვება.....	9
ყურადღება.....	11
სატანჯველის აზრი.....	17
მართებული მუშაობა	20
ჩვეულების მსხვერველა.....	22
ენერგია და ძილი	24
როგორ გავახანგრძლივოთ სიცოცხლე?	33
არსი და პიროვნება.....	37
სამი ძალა და ეკონომია.....	43
სუნთქვითი ექსპერიმენტები.....	49
ადამიანი-მსახიობი	53
კითხვა მთვარის შესახებ.....	57
მტკიცება და უარყოფა.....	58
გულგრილობა.....	67
სამყაროს მატერიალურობა.....	70
ოთხი სხეულის კრისტალიზება.....	76
მგზავრი, მეეტლე, ოთხთვალა და ცხენი.....	82
საკუთარი თავის გახსენება.....	91
ვის გააჩნია თავისუფალი ნება?	102
გავლენა ადამიანზე	109
გათავისუფლება გათავისუფლებას იწვევს	125
იფიქრეთ განსხვავებულად!.....	132
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული ნიგნები.....	134

მთარგმნელის წინასიტყვაობა

გიორგი გურჯიევის ცხოვრება, ისევე, როგორც მოღვაწეობა, იდუმალებით არის მოცული. მისი დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. დაიბადა ქალაქ ალექსანდროპოლში (დღევანდელი გიუმრი სომხეთის ტერიტორიაზე), ბერძენი მამისა და სომეხი დედის ოჯახში 1866-დან 1877 წლამდე პერიოდში. ადრეული ასაკიდანვე მოგზაურობდა აღმოსავლეთში, ეწვია საბერძნეთს, ეგვიპტეს, თურქეთს, ავღანეთს, თურქესტანს, სადაც ეცნობოდა ადგილობრივ რელიგიურ მოძღვრებებს, მათ შორის სუფიზმს, ბუდიზმსა და აღმოსავლურ ქრისტიანობას.

რევოლუციამდე მოსკოვში მოღვაწეობდა, სადაც მონაფეთა მცირე წრე შემოიკრიბა. რევოლუციის შემდეგ ერთხანს იმყოფებოდა თბილისში, სადაც შეეცადა დაეფუძნებინა „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი“, შემდეგ იყო თურქეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში და საბოლოოდ 1922 წელს საფრანგეთში დაფუძნდა.

გურჯიევის პიროვნება ლეგენდებით არის მოცული. მას ადარებდნენ გრაფ კალიოსტროსა და გრიგორი რასპუტინს, და ბელადებსა და დიქტატორებზე ფარულ გავლენას მიანერდნენ. ერთნი მას დიდ მოძღვრად და წინასწარმეტყველად მიიჩნევენ, სხვები – უდიდეს თაღლითად და შარლატანად. ასეა თუ ისე, ამ ადამიანის პიროვნებამ და იდეებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს თანამედროვე დასავლური ფილოზოფიისა და კულტურის განვითარებაზე.

გურჯიევის ლიტერატურული მემკვიდრეობა არცთუ მდიდარია, ის სულ ათამდე წიგნს მოიცავს. „დანახული რეალური სამყაროდან“ არის მოწაფეებთან საუბრებისა და ლექციების ჩანაწერები, შესრულებული თვით მოწაფეების მიერ და მასში ადვილად გასაგები ფორმით არის გადმოცემული მისი მოძღვრების ძირითადი დებულებები. ის შედგენილია კითხვა-პასუხებისა და მოწაფეებისთვის მიცემული მითითებების ფორმით, რომლებიც ცხოვრების მრავალ მხარეს ეხება: სულიერ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, შემოქმედებას, ცხოვრებისეული გზის არჩევასა და სხვა.

წიგნი მოიცავს პერიოდს 1924-დან 1930 წლის ჩათვლით.

ლიმიტრი უჩაენიშვილი

დანახული
რეალური სამყაროდან

თვითდაკვირვება

ნიუ-იორკი, 13 მარტი, 1924 წ.

თვითდაკვირვება უკიდურესად რთულია. რაც უფრო მეტად ეცდებით, მით უფრო ცხადად დაინახავთ ამას.

ახლა, თქვენ ის პრაქტიკული შედეგის მიღებისთვის კი არ უნდა გამოიყენოთ, არამედ იმ ფაქტის გასაცნობიერებლად, რომ თქვენ არ ძალგიდით საკუთარ თავზე დაკვირვება. წარსულში თქვენ წარმოგედგინათ, რომ ხედავთ და იცნობთ საკუთარ თავს.

მე, ობიექტური თვითდაკვირვების შესახებ ვსაუბრობ. ობიექტურად, თქვენ ერთი წუთითაც არ შეგიძლიათ საკუთარი თავის ხილვა, რადგან ეს განსხვავებული ფუნქციაა, ფუნქცია ოსტატისა.

თუკი თქვენ ფიქრობთ, რომ ძალგიდით დააკვირდეთ საკუთარ თავს ხუთი წუთის განმავლობაში, ეს სიმართლეს არ შეესაბამება; თუკი თქვენ ფიქრობთ, რომ ძალგიდით დააკვირდეთ საკუთარ თავს ოცი წუთის ან ერთი წუთის განმავლობაში, ეს ასევე არ შეესაბამება სიმართლეს. თუკი უბრალოდ გაიგებთ, რომ არ შეგიძლიათ დაკვირვება, ეს სიმართლე იქნება. მისვლა ასეთ გაგებასთან – აი, თქვენი მიზანი.

ამ მიზნის მისაღწევად ძალისხმევა არ უნდა დაიშუროთ.

როდესაც, ძალისხმევას მიმართავთ, შედეგად არ მიიღებთ თვითდაკვირვებას ამ სიტყვის ქეშმარიტი გაგებით. მაგრამ, ძალისხმევა გაამყარებს თქვენს ყურადღებას; თქვენ უკეთ ფოკუსირებას ისწავლით. ეს ყველაფერი მოგვი-

ანებით გამოგადგებათ; და მხოლოდ მაშინ შეიძლება, შეუდგეთ საკუთარი თავის გახსენებას.

თუ კეთილსინდისიერად იმუშავებთ, საკუთარ თავს არა უფრო ხშირად, არამედ უფრო იშვიათად გაიხსენებთ, რადგან გახსენება მრავალს მოითხოვს. გახსენება არ არის იოლი, ის ძვირად ფასობს.

თვითდაკვირვებაში ვარჯიში რამდენიმე წელს უნდა გაგრძელდეს; ეცადეთ, სხვა არაფრით დაკავდეთ, თუ კეთილსინდისიერად იმუშავებთ, დაინახავთ, რა გჭირდებათ.

ამჟამად, თქვენ ერთადერთ ყურადღებას ფლობთ – ან სხეულში, ან გრძნობებში.

ყურადღება

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი, 1930 წ.

კითხვა: როგორ შეიძლება ყურადღების მოპოვება?

პასუხი: ადამიანები მოისაკლისებენ ყურადღებას. თქვენი მიზანი მისი მოპოვება უნდა იყოს. თვითდაკვირვება მხოლოდ ყურადღების მოპოვების შემდეგ არის შესაძლებელი. წვრილმანებით დაიწყეთ.

კითხვა: რა სახის წვრილმანებით შეიძლება დაწყება? რა უნდა გაგაკეთოთ?

პასუხი: თქვენი ნერვული და დაუდეგარი მოძრაობები ცნობიერად ან არაცნობიერად აიძულებენ ყოველ ადამიანს, იხილოს, რომ თქვენ არ გაგაჩნიათ ავტორიტეტი, რომ თქვენ უბრალო ჯამბაზი ხართ. ასეთი დაუდეგარი მოძრაობებით თქვენ ვერ იქნებით „ვინმე“. პირველი, რაც უნდა გააკეთოთ, – შეწყვიტოთ ეს მოძრაობები. აქციეთ ეს თქვენს მიზნად, თქვენს ხატად. აიძულეთ ოჯახის წევრები, რომ დაგეხმარონ. შესაძლოა მხოლოდ ამის შემდეგ შეძლოთ ყურადღების მოპოვება. ეს – ქმნადობის მაგალითია.

სხვა მაგალითი: დამწყები პიანისტი ვერასოდეს ისწავლის სხვაგვარად, თუ არა ცოტ-ცოტაობით. თუკი თქვენი სურვილია, დაუკრათ წინასწარი პრაქტიკის გარეშე, ჭეშმარიტ მუსიკას ვერასოდეს დაუკრავთ. მელოდიები, რომლებსაც დაუკრავთ, კაკაფონია¹ იქნება და გატანჯავენ ადამიანებს, რომლებიც შეგიძულებენ. ასეთივეა მდგო-

1. კაკაფონია – სმენისთვის არასასიამოვნო ბგერების ხმა. არაკეთილშობილება. – მთარგ. შენიშვნა.

მარეობა ფსიქოლოგიურ იდეებთან მიმართებით: რამის მოსაპოვებლად აუცილებელია ხანგრძლივი პრაქტიკა.

თავდაპირველად სცადეთ მცირე მიზნების განხორციელება. თუკი თავიდანვე დიდ მიზანს დაისახავთ, ვერაფერს მიაღწევთ. თქვენი გამოვლინებები იმოქმედებენ კაკაფონიური მუსიკის მსგავსად და მეზობელთა სიძულვილს გამოიწვევენ.

კითხვა: როგორ უნდა მოვიქცეთ?

პასუხი: არსებობს ქმნადობის ორი სახე: ავტომატური ქმნადობა და ქმნადობა მიზნის შესაბამისად. ავიღოთ ნებისმიერი მცირე რამ, რისი გაკეთებაც ახლა არ შეგიძლიათ და აქციეთ ის საკუთარ მიზნად, საკუთარ ხატად. ნურაფერი შეგიშლით ხელს, მხოლოდ ეს გქონდეთ მიზნად. თუკი შეძლებთ ამის გაკეთებას, მე თქვენ უფრო მნიშვნელოვან ამოცანას დაგისახავთ. ახლა, თქვენ გრძნობთ სურვილს თქვენთვის მეტისმეტად დიდი საქმეების გაკეთებისა: ასეთი სურვილი არ არის ნორმალური. თქვენ ვერასოდეს შეძლებთ მათ განხორციელებას, ხოლო ასეთი სურვილი იმისგან გაბრკოლებთ, რომ განახორციელოთ მცირე საქმეები, რომლებიც თქვენს ძალებშია. გაანადგურეთ ეს სურვილი, დაივიწყეთ დიდი საქმეები. დაისახეთ მიზნად რამე წვრილმანი ჩვევის აღმოფხვრა.

კითხვა: ვგონებ, ჩემი ყველაზე დიდი ნაკლი – საუბრის გადაჭარბებული სიყვარულია. თუ მიზნად ნაკლებად საუბარს დავისახავ, ეს სათანადო ამოცანა იქნება?

პასუხი: თქვენთვის – უდავოდ. საკუთარი საუბრით თქვენ ყველაფერს აფუჭებთ. მსგავსი საუბრები დაბრკოლებებს უქმნიან თქვენს საქმეებს. როდესაც, მეტისმეტად ბევრს საუბრობთ, თქვენი სიტყვები წონას ჰკარგავენ, შეეცადეთ, გადალახოთ ეს ჩვევა. თუ შეძლებთ ამას, მრავალკუთხეული იქნებით. ამოცანა ერთობ სათანადოა, მაგრამ ეს არის დიდი საქმე და არა მცირე.

**გამომცემლობა აქტი-ს მიერ
გამოცემული წიგნები**

ფრიდრიხ ნიცშე

ანტიქრისტე
ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
სიკეთისა და ბოროტების მიღმა

პარლ იასპერსი

ნიცშე და ქრისტიანობა
ფილოსოფიის შესავალი

სიორან კირკპორი

შიში და თრთოლვა
სატანჯველის სახარება

ზიგმუნდ ფროიდი

სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
მოსე და მონოთეიზმი
ეგო და id

ლევ ზესტოვი

უსაფუძვლობის აპოთეოზი
შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

ბერტრან რასელი

ესეები
ქორწინება და მორალი

ედმუნდ ჰუსერლი

ამსტერდამული მოხსენებები

მიგელ დე უნამუნო

ქრისტიანობის აგონია

ნიკოლაი ბერდიაევი

ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

ივანე კანტი

მარადიული მშვიდობისკენ

გიორგი ბურჯიაძე

დანახული რეალური სამყაროდან

სვამი ვივიაანადა

ძველი ინდური ფილოსოფია

შთაგონებული საუბრები

კარმა-იოგა

ერიხ ფრომი

ადამიანის სული

გუსტავ ლე ბონი

მასების ფსიქოლოგია

ერების ფსიქოლოგია

მერაზ მამარდაშვილი

ცნობიერება და ცივილიზაცია

სოსე ორთავა-ი-გასეტი

ეტიუდები სიყვარულზე

ჯიღუ კრიშნამურიტი

თავისუფლება ცნობილისგან
სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა

ოზო

რა არის მედიტაცია?
სექსიდან სუპერცნობიერებამდე